საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

ლეჩხუმი

გაზეთი გამოდის 1933 წლიდან

ცაგერის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს ორგანო

№25 (6400) 28 თებერვალი ხუთშაბათი 1991 წელი ფასი 5 კაპიკი

დღეს ნომერშია

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საკრებულოთა არჩევნების წინ

საუბნო საარჩევნო კომისია

იმედით

II გვ.

კედაგოგის ტრიბუნა

ფიქრები

III გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცაგერის რაიონის საკრებულოთა არჩევნების ადგილობრივი საარჩევნო კომისიების შემადგენლობა

სოფელი ტვიში

კომისიის თავმჯდომარე—**ნემსწვერიძე გიორგი ვლადიმერის ძე**—ტვიშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, სკკპ წევრი.

თავმჯდომარის მოადგილე—**ვალერი დიმიტრის ძე მუშკუდიანი**—ორხვის არასრულის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

კომისიის მდივანი—**ნინო ჯიმშერის ასული ნემსწვერიძე**—ტვიშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

კომისიის წევრები:

თამარ ალიოშას ასული ახვლედიანი—ტვიშის საბავშვო ბაღის მასწავლებელი, უპარტიო.

თამარ ზურაბის ასული ახვლედიანი—ორხვის არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

ილარიონ ვაჟას ძე გორეზიანი—ტვიშის სატყეო უბნის ინჟინერი, სკკპ წევრი.

ციალა გრიშას ასული ახვლედიანი—ტვიშის საექიმო უბნის მედდა, უპარტიო.

მედიკო ალექსანდრეს ასული ნემსწვერიძე—ტვიშის საექიმო უბნის მედდა, უპარტიო.

ამირან ალექსანდრეს ძე კენჭაძე—ტვიშის ღვინის ქარხნის მუშა, უპარტიო.

ლენა სანდროს ასული ლომთაძე—ქორენიშის ბიბლიოთეკის გამგე, უპარტიო.

რობერტ მელიტონის ძე ასათიანი—ტვიშის სასოფლო საბჭოს ბუღალტერი, სკკპ წევრი.

მერი ვალიკოს ასული გაბიძაშვილი—ტვიშის კავშირგაბმულობის ოპერატორი, უპარტიო.

ეორა გალაქტიონის ძე ასათიანი—ტვიშის სამრეწველო მაღაზიის გამგე, უპარტიო.

მისამართი: ტვიშის სასოფლო საბჭოს კლუბი.

სოფელი ალპანა

კომისიის თავმჯდომარე—**მარინე ეორას ასული ჯანაძე**—ალპანის დარგობლივი გაერთიანების მოანგარიშე, უპარტიო.

თავმჯდომარის მოადგილე—**ომარ სერაპიონის ძე ფრუიძე**—ალპანის საავადმყოფოს მომმარაგებელი, უპარტიო.

კომისიის მდივანი—**ლილი კოლიას ასული ირემაძე**—ალპანის კლუბის გამგე, უპარტიო.

კომისიის წევრები:

ციცო გურამის ასული გოლეთიანი—ალპანის კულტურის სახლის თანამშრომელი, უპარტიო.

ნიურა მოსეს ასული ლარცულიანი—ალპანის სასოფლო საბჭოს მოლარე, უპარტიო.

სეით დავითის ძე ახვლედიანი—ალპანის სამკურნალო ფაბრიკის ბუღალტერი, უპარტიო.

მიშა ნიკოლოზის ძე კაბოსნიძე—ალპანის სამკერვალო ფაბრიკის ოსტატი, უპარტიო.

ციური მარშალის ასული ჯანაძე—ალპანის სამკერვალო ფაბრიკის მკერავი, სკკპ წევრი.

გოჩა ალექსანდრეს ძე ალავიძე—ალპანის სამკერვალო ფაბრიკის მუშა, უპარტიო.

მზევინარ პეტრეს ასული სადილიანი—ალპანის სამკერვალო ფაბრიკის მოანგარიშე, სკკპ წევრი.

გურგენ თეოფანეს ძე ხეცურიანი—ალპანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სკკპ წევრი.

ქიშვარდი აკაკის ძე ალავიძე—ალპანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სკკპ წევრი.

ნოდარი გიორგის ძე ხუციძე—ალპანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სკკპ წევრი.

მისამართი: ალპანის კულტურის სახლი.

სოფელი ლაილაში

კომისიის თავმჯდომარე—**ია ლეონტის ასული ხვადაგიანი**—ლაილაშის საექიმო ამბულატორიის მედდა, სკკპ წევრი.

თავმჯდომარის მოადგილე—**იათამზე ვლასის ასული ჩაჩხიანი**, ლაილაშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

კომისიის მდივანი — **ნატო ზურაბის ასული გოგიძე**, ლაილაშის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

კომისიის წევრები:

ბადრი გერასიმეს ძე გოქაძე—ლაილაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

ეთერ ავთანდილის ასული გოქაძე—ლაილაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

დარეჯან გურამის ასული კაჭკაჭაშვილი—ლაილაშის საბავშვო ბაღის მასწავლებელი, უპარტიო.

მალხაზ ჭიჭიკოს ძე ახვლედიანი—ლაილაშის კავშირგაბმულობის მონტიორი, უპარტიო.

გურამ ვარლამის ძე ჩორგოლიანი—ლაილაშის საექიმო ამბულატორიის მძღოლი, სკკპ წევრი.

ლერი ვარლამის ძე ლეშკაშელი—ლაილაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

დარეჯან კონსტანტინეს ასული ქარსელაძე—თაბორის სასოფლო კლუბის დამლაგებელი, უპარტიო.

ჯუსტან სერგოს ძე გოქაძე—ლაილაშის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

გურამ გრიგოლის ძე კობერიძე—სურმუშის მაღაზიის გამგე, სკკპ წევრი.

დიანა გერასიმეს ასული კობერიძე—სურმუშის დაწყებითი სკოლის დამლაგებელი, უპარტიო.

მისამართი: ლაილაშის სასოფლო საბჭოს შენობა.

სოფელი ორბელი

კომისიის თავმჯდომარე—**ბიჭიკო ესტატეს ძე ბურჯალიანი**—ორბელის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სკკპ წევრი.

თავმჯდომარის მოადგილე—**ვაჟა გივის ძე გვიშიანი** ორბელის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სკკპ წევრი.

კომისიის მდივანი—**ლალი ჯიმშერის ასული მეგრელი**, ორბელის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სკკპ წევრი.

კომისიის წევრები:

თამაზ გერონტის ძე ფუტკარაძე—ლაცორიის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

ია გერონტის ასული ლეშკაშელი—ორბელის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

ნაიბი ვალიკოს ძე გელოვანი—ორბელის საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

ნანული თედორეს ასული ნემსწვერიძე—წილამიერის კლუბის გამგე, სკკპ წევრი.

გულნარა შამშეს ასული გვიშიანი—ორბელის სასოფლო საბჭოს საქმეთა მმართველი, უპარტიო.

შოთა სპირიდონის ძე ბურჯალიანი—ორბელის ღვინის საწარმოს მუშა, სკკპ წევრი.

ვლადიმერ პავლეს ძე ხვადაგიანი—ლაჯანის კოლმეურნეობის აგრონომი, სკკპ წევრი.

დარეჯან რუბენის ასული მახარობლიძე—ლაჯანის კოლმეურნეობის წევრი, სკკპ წევრი.

ნიკოლოზ შალვას ძე გიორგობიანი—ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, სკკპ წევრი.

ნაზი კირილეს ასული კოპალიანი—ორბელის საექიმო პუნქტის ექთანი, უპარტიო.

მისამართი: ორბელის სასოფლო საბჭოს შენობა.

სოფელი უსახელო

კომისიის თავმჯდომარე—**ნათელა გივის ასული ყურაშვილი**—უსახელოს სასოფლო საბჭოს ბუღალტერი, უპარტიო.

თავმჯდომარის მოადგილე—**ნათელა ბეგლარის ასული გუგავა**—უსახელოს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

კომისიის მდივანი—**მერი გრიგოლის ასული გუგავა**—უსახელოს სასოფლო კლუბის გამგე, უპარტიო.

კომისიის წევრები:

აკაკი სამსონის ძე ხეცურიანი—უსახელოს მაღაზიის გამგე, უპარტიო.

არქიბო იოსების ძე უჩაძე—ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

გივი პავლეს ძე გოლეთიანი—უსახელოს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, სკკპ წევრი.

თალიკო სამსონის ასული გოგგასლიძე—ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

თინა სემინარის ასული ხეცურიანი—უსახელოს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

გურამ გრიგოლის ძე სივსივა—უსახელოს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, უპარტიო.

ნიკოლოზ გერასიმეს ძე გოლეთიანი—უსახელოს არასრული საშუალო სკოლის მასწავლებელი, სკკპ წევრი.

დადაში ინდიკოს ძე ურთმელიძე—ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

დემურ გალაქტიონის ძე გოლეთიანი—ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

ჯაბუ შალვას ძე სივსივა—ლაჯანის კოლმეურნეობის კოლმეურნე, უპარტიო.

მისამართი: უსახელოს სასოფლო საბჭოს შენობა.

(გაგრძელება იქნება).

ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების — საკრებულოთა

არჩევნების წინ

საუბნო საარჩევნო კომისია

საქართველოს რესპუბლიკის საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების ჩასატარებლად იქმნება საარჩევნო კომისიები:

ა) საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისია;

ბ) ტერიტორიული საარჩევნო კომისიები;

გ) ადგილობრივი საარჩევნო კომისიები;

დ) საუბნო საარჩევნო კომისიები.

რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების—საკრებულოთა არჩევნების ტერიტორიული და ადგილობრივი საარჩევნო კომისიების არჩევის შემდეგ არჩევნებისათვის მზადების შემდეგი ეტაპი არის საარჩევნო უბნების შექმნა და საუბნო საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში კანდიდატურების წამოყენება და ამ კომისიების დამტკიცება.

საკრებულოებში დეპუტატთა არჩევნების დროს კენჭისყრის მოსაწყობად და ხმების დასათვლელად საარჩევნო ოლქები იყოფა საარჩევნო უბნებად.

საარჩევნო უბნები შეიძლება შეიქმნას საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ-სამკურნალო დაწესებულებებში, ძნელად მისადგომ ადგილებში.

საარჩევნო უბნებს საარჩევნო ოლქების სახღვრებს გათვალისწინებით ქმნიან ადგილობრივი საარჩევნო კომისიები ხელისუფლების ან მმართველობის შესაბამისი ადგილობრივი ორგანოების წარდგინებითა და მათთან შეთანხმებით.

საარჩევნო უბნები იქმნება არანაკლებ 20 და არა უმეტეს 3000 ამომრჩეველისათვის არჩევნებამდე არა უგვიანეს 35 დღისა.

შესაბამისი საარჩევნო კომისია ადგილობრივ გაზეთებში უბნების შექმნიდან ორი დღის ვადაში აქვეყნებს საარჩევნო უბნების ნომრებს, საუბნო საარჩევნო კომისიების და ხმის მისაცემი შენობების მისამართებს.

საუბნო საარჩევნო კომისიები იქმნება კომისიის თავმჯდომარის, მისი მოადგილის, მდივნისა და არანაკლებ 2 წევრისაგან საარჩევნო უბნების სიის გამოქვეყნებიდან არა უადრეს მე-6 და არა უგვიანეს მე-9 დღისა.

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილესა და 2 წევრს ნიშნავს შესაბამისი ადგილობრივი საარჩევნო კომისია ხელისუფლების ან მმართველობის ადგილობრივი ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, მის ქვემდებარე ტერიტორიაზე განლაგებული შრომითი კოლექტივების, ამომრჩეველთა ჯგუფების წინადადებათა გათვალისწინებით.

საუბნო საარჩევნო კომისიის თითო წევრი შეუძლიათ დანიშნონ ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ რეგისტრირებულმა პარტიებმა და საარჩევნო ბლოკებმა.

განცხადებანი საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებად წარდგენისა და დანიშვნის შესახებ ადგილობრივ საარჩევნო კომისიას უნდა წარედგინოს საარჩევნო უბნების სიის გამოქვეყნებიდან არა უგვიანეს მე-5 დღისა.

კომისიის შექმნიდან 2 დღის ვადაში იგი თავის წევრთაგან ირჩევს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარესა და მდივანს და დაუყოვნებლივ ატყობინებს ტერიტორიულ და ადგილობრივ საარჩევნო კომისიებს.

საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილების ვადა მთავრდება არჩევნების დამთავრებისთანავე.

საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია: შეადგინოს უბნის მიხედვით ამომრჩეველთა სიები, ამომრჩეველს აცნობს ამომრჩეველთა სიებს, იღებს და იხილავს განცხადებებს სიებში უსწორობათა შესახებ და წყვეტს მათში სათანადო ცვლილებათა შეტანის საკითხს; ამომრჩეველს აძლევს ამომრჩეველის ბარათს და მოთხოვნისას—ხმის მიცემის უფლების მოწყობას; აუწყებს მოსახლეობას საუბნო საარჩევნო კომისიის ადგილსამყოფელს და მისი მუშაობის დროს, ავრეთვე არჩევნების თარიღსა და ხმის მიცემის ადგილს.

უზრუნველყოფს ხმის მისაცემად შენობის, საარჩევნო ყუთებისა და კაბინების, საინფორმაციო სტენდების მომზადებას, ორგანიზაციას უწევს საარჩევნო უბანში ხმის მიცემას არჩევნების დღეს, ადგენს საარჩევნო უბანში ამომრჩეველთა და არჩევნებში მონაწილეთა რიცხვს, დეპუტატობის ყოველი კანდიდატისათვის მიცემული ხმების რაოდენობას, ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს კანონის შესაბამისად.

ამ უფლებამოსილების განხორციელებისათვის საჭიროა სათანადო მომზადება, რათა ყველაფერი გაკეთდეს იმისათვის, რომ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების—საკრებულოების არჩევნების დღეს—31 მარტს ყველა ამომრჩეველი გამოცხადდეს საარჩევნო ყუთთან და განახორციელოს მისი მოქალაქეობრივი მოვალეობა.

ოჯახი

იმედით

უყურებ ამ ახალგაზრდა, სიცოცხლითა და სანდომით სავსე ქალს და გიხარია, რომ სანამ ასეთი დედები გვყვანან, საქართველო უძლეველია, საქართველოს დედის დიდი გული და სითბო, სიყვარული და გამჭრიახობა გადაარჩენს.

ჯერ 33 წლისაა და უკვე 5 შვილის დედაა, ხუთივე გოგოა, ერთმანეთზე უკეთესები, ჯანსაღები. სულ პაწაწა 8 თვისაა, ლოყაღაჟღაჟა, მოუსვენარი. კარგია, რომ გოგოები არიან, ვეუბნები დედ-მამას—მანანა და ამირან გოდერიძეებს. მეექვსე თუ არა, მეშვიდე მაინც იქნება-მეთქი ბიჭი?!

დუმან, ეღიმებათ. ეს თანხმობის ნიშანია.

ლაჯანაში სახლობს ეს ახალგაზრდა, უპრეტენზიო მშრომელი, პატიოსანი ოჯახი. ამას წინათ „ქართვლის დედის“ წოდების პრეტენდენტთა რესპუბლიკური კონფერენცია მოაწყო საქართველოს დემოგრაფიულმა საზოგადოებამ. რაკი რეგიონალური საზოგადოება რაიონში არ ფუნქციონირებს, რამდენიმე მრავალშვილიანი დედა, რომელთა სურვილი იყო ამ კონფერენციაში მონაწილეობა, ქალთა რაიონული საბჭოს ეგიდით გაემგზავრა თბილისს. ამათ შორის იყო მანანა გოდერიძეც.

მართალია, კონფერენციამ ბევრი ვერაფერი სულიერი მისცა მის მონაწილე ქალბატონებს, იგი არაორგანიზებულად წარიმართა, „ქართვლის დედის“ წოდების თაობაზე დემოგრაფიული საზოგადოების პროექტი ჯერაც დაუმტკიცებელია, მღელვარედ, პრეზიდიუმისაგან თავს მოხვეული პოზიციით ჩატარდა ეს თავყრილობა, მაგრამ ქალების თავმოყრა იმად ღირდა, რომ გამოხატეს ერთიანი გულისთქმა— მხარი დავუჭიროთ ჩვენს ეროვნულ მთავრობას, ბოლომდე ვენდოთ მას და პირადად ზვიად გამსახურდიას, არ წამოვეგოთ პროვოკაციებს, სიმშვიდე და გონიერება თუ გადაგვარჩენსო. ამ რწმენით დასრულდა კონფერენცია, არ რწმენით წავიდა რამდენიმე მრავალშვილიანი დედა უზენაეს საბჭოში, რათა კონფერენციის მონაწილე ქალთა გულისთქმა მიეტანა.

გადავუხვიე სათქმელს. მანანამაც, ამ ახალგაზრდა დედამ, თქვა თავისი სათქმელი: ახლა მთელი ეროვნული ენერგია ერთ ღარში უნდა მივუშვათ, დაქსაქსულობა დაგვღუპავს, ეროვნულმა სულმა რომ გაიღვიძა, ამაში დიდი როლი ქალს და დედას ეკუთვნის. ამიტომ ისევ ჩვენ, დედებმა უნდა მოვუწოდოთ ყველას: ერთად, ერთად, ერთად და მხოლოდ ერთად საქართველოსთვის, თავისუფლების და არა ხელისუფლებისათვის.

3 დღეში გავუშინაურდით ერთმანეთს. ჩვენმა ქალებმა გულახდილ საუბარში ბევრი გულისტკივილი გაამხილეს. დედა იმდენ შვილს აჩენს, რამდენსაც დაარჩენს, გულში გავლებასაც არ იკადრებს, ვისმეს სამათხოვროდ გაუწოდოს ხელი, მაგრამ ის შეღავათები, ელემენტარული, ესეც არ იყოს, სითბო, ყურადღება, პატივისცემა ნამდვილად სჭირდება. ჩვენს სინამდვილეში მრავალშვილიანი დედები საკოდავად გამოიყურებიან. თქვეს და სავსებით ვეთანხმები: მრავალშვილიანი დედებისათვის ერთი მაღაზია მაინც რომ იყოს რაიონში, რამდენად შეეშველებოდა დედებს. ალბათ მკითხველი იტყვის რომელიც გვაქვს, რა თავში ვიხლით ცარიელი დახლებითო. სწორედ დღეს, ეკონომიკურად ამ გაჭირვებულ დროს, უნდა იყოს ასეთი მაღაზია და ის მათხოვრული ფონდები რძის, კარაქისა თუ ბურღულის, სხვა აუცილებელი სამრეწველო თუ სასურსათო პროდუქტის, აუცილებლად უნდა მოხმარდეს ჩვილბავშვიან დედებს, რომლებიც, არ ვეჭარბებ, შეშფოთებული არიან შიმშილით. არ დაეხოცოთ შვილები.

და მაინც იმედით ცხოვრობენ დედები. ოჯახი, შვილებია მათი ყველაზე დიდი იმედი. გოდერიძეებიც შრომობენ, მეურნეობას ეწევიან, რომ არაფერი შემოაკლდეთ შვილებს.

მ. ძნელაძე.

ორ თვეზე მეტია იაპონიის კუნძულ ჰოკაიდოს ადმინისტრაციულ ცენტრში, ქალაქ საპოროში ექიმები იბრძვიან იუუნო-სახალინსკელი ბიჭუნას, 3 წლის კოსტია სკოროპიშნის სიცოცხლის გადასარჩენად. ბიჭს ძლიერი დამწვრობა აქვს მიღებული. იგი კრიტიკულ მდგომარეობაში იყო და საბჭოელი ექიმები მხოლოდ 70 საათის სიცოცხლის გარანტიას აძლევდნენ. ამიტომაც ინტენსიური თერაპიის კურსის შემდეგ ქირურგთა ჯგუფმა დოქტორ სეისიუ აბეს მეთაურობით ჩაატარა კანის გადანერგვის ოპერაცია, რომელიც ოთხსაათნახევარს გაგრძელდა და წარმატებით დამთავრდა.

სურათზე: კოსტია სკოროპიშნი ქალაქ საპოროს ჰოსპიტალში.

საკდესის ფოტოქრონიკა.

გ. ნადეედინის ფოტო

გაზეთ „ახალგაზრდა ივერიელში“ დაიბეჭდა სრულიად საიუბილო ანკეტა-პირობანი, რომლებიც დასვეტილნი საქართველოს [illegible] 1924 წლის აგვისტოს ავანტიურაში მონაწილეობისათვის. მათ შორის არიან ლეჩხუმის მაზრიდან.

1. თვარაძე თეოფანე კაკოს ძე, 39 წ. გლეხობიდან, სოფელი უსახელო, ლანჩხუთის მაზრა, პროფესიით შავი მუშა,

სისხლიანი სტრიქონებიდან

ბოლო დროს დაკავებული იყო უსახელოს სოფლის მეურნეობაში.

ცოლი ფეოდოსია გრიგორის ასული 39 წ. ქალიშვილი ვერა 14 წლის, ქალიშვილი ნინა 12 წ. ვაჟი გიორგი 7 წ; სერგო—5 წლის, მცხოვრებნი სოფელ უსახელოში (ს ს 2234).

2. სვანიძე გედევან დავითის ძე, დაბადებული 1895 წ. სოფელ ცხუკუშვრში, ლანჩხუთის მაზრა, გლეხობიდან. სტუდენტი, მენშევიკური პარტიის წევრი 1917 წლიდან, მისამართი წყნეთის 34.

დედა პელაგია 55 წ. დიასახლისი ცხუკუშერი. ძმა ბიკენტი, 19 წლის, მიწათმოქმედი, და ბაბილინა, 30 წ. დიასახლისი. ცოლი ნინა, 25 წლის, დიასახლისი, თბილისი, წყნეთის 34. შვილი გივი—2 წ. (ს ს 1311).

ასათიანი თედორე იოსების ძე დაბ. 1896 წ. ს. დერჩი, თავადაზ. მოსამსახურე, მენშევიკური პარტიის წევრი 1903 წლიდან, მცხოვრები ს. დერჩში, ლანჩხუთის მაზრა.

მამა იოსები 75 წ. მიწათმოქმედი, ს. დერჩი. ცოლი სონია, 30 წ. დიასახლისი, შვილები ნატალია 2. წ კუკური 1 წლის. ძმა დიმიტრი 35 წ. მიწათმოქმედი (ს ს 1498).

4. გარდაფხაძე ნესტორ გრიგოლის ძე, 57 წ. დაბადებული სოფ. ჩოლურში, ლეჩხუმის მაზრა, სამხედრო მოსამსახურე, ყოფ. პოლკოვნიკი, ყოფ. ბანდიტი, მცხ. სასტუმრო „ოტელ ჰოი“-ში.

ცოლი ეკატერინე 42 წლის, დიასახლისი, 6 შვილი (მონაცემები არ არის). (ს ს 1285).

რედაქციისაგან: გამოქვეყნებულ ბიოგრაფიულ მონაცემებში დაბადების ადგილად ნაცვლად ლეჩხუმის მაზრისა, ყველგან მინიშნებულია შეცდომით ლანჩხუთის მაზრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პედაგოგის ფრიბუნა

ფიქრები

მასწავლებლის გონიერებაზე, კეთილსინდისიერ მუშაობაზეა დამოკიდებული როგორი იქნება სკოლადამთავრებული ახალგაზრდა საზოგადოებაში. ყოველი გაკვეთილი აღზრდის საუკეთესო საშუალებაა და თუ მას დავუმატებთ მოფიქრებულ, საინტერესო კლასგარეშე მუშაობას, მაშინ არცერთი ბავშვი არ დარჩება ყურადღების გარეშე.

სასწავლო წლის დასაწყისშივე შევეცადე, სადამრიგებლო მე-6 კლასის მოსწავლეებთან მუშაობაში გამემახვილებინა ყურადღება სწავლა-აღზრდის სადღეისო საკითხებზე. კლასთან მუშაობის ერთი წლის გამოცდილება მქონდა. მათ მეხუთე კლასში ვხელმძღვანელობდი, ვიცნობდი მათს ინტერესებს, მისწრაფებებს და ამან გამიადვილა უფრო მალე მეპოვნა მათთან მონოლითური, მეგობრული, ურთიერთნდობისა და პიროვნული ღირსების პატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობის დამყარების საფუძველი.

თავიდანვე დავსახეთ ერთობლივი მუშაობის მრავალფეროვანი პროგრამა. მიზნად დავისახეთ ფორმალიზმზე უარის თქმა და ყველა საგულისხმო, თუნდაც საპოლემიკო საკითხის მოსწავლეთა აქტიურობით გადაჭრა. ინდივიდუალური მუშაობით და მშობელთა კრებებით ყველა მშობელი ჩაბმული მყავს აღზრდის პროცესში, მრავალ ღონისძიებას ვატარებ მშობელთა პედაგოგიზაციისათვის, მათ მიერ აღზრდის ფორმებისა და მეთოდების დაუფლებისათვის.

ძალიან მახარებს, რომ მე-6 კლასელებს უკვე ახასიათებთ ურთიერთდახმარება და თანადგომა, მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობა და მოვალეობის მაღალი შეგნება, უყვართ, როცა ნდობას ვუცხადებ და რაიმეს გადაწყვეტას ვავალებ. უკვე თავისი მოვალეობის შესაბამისად დაკვალიანებული მოქმედებს „წიგნის მკურნალთა საბჭო“ და სანიტარულ-ჰიგიენური კომისია, კედლის გაზეთის რედკოლეგია.

კარგ შედეგს მაძლევს კლასში შემსვლელ ცალკეული საგნის მასწავლებლებთან ყოველდღიური ურთიერთობა, თათბირები, მოლაპარაკება საკითხებზე, რომლებიც ხელს უწყობს სწავლებისა და სწავლის ხარისხის ამაღლებას, დისციპლინის განმტკიცებას. ჩემი სადამრიგებლო კლასი მოწინავეა სკოლაში აკადემიური წარმატებისა და წესრიგის მხრივ. შეფასებული 17 მოსწავლიდან 2 ფრიადოსანია და 5 ოთხოსანი. ოროსანი არ გვყავს.

მე-6 კლასელები აქტიური არიან საზოგადოებრივი დავალებების შესრულებაში. მოწონება დაიმსახურა მათ მიერ გამართულმა ლიტერატურულმა დილა-საღამოებმა, მხატვრულმა ღონისძიებებმა, პოეზიის საღამომ აკაკის ლექსებზე, „კაკო უაჩაღის“ ინსცენირებამ, კონკურსებმა: „ვინ უკეთ კითხულობს ლექსს მხატვრულად?“ სიმღერა სამშობლოზე“, „ფერების ჯადოსნურ სამყაროში“.

გოგო-ბიჭები მთელი არსებით მხარს უჭერენ საქართველოში გაჩაღებულ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას და თავისუფლების სიმბოლოს ატარებს და ამ დღეებში გამანდეს თავიანთი გულისხმიერები: რა კარგი იქნება და მრავლისმთქმელი, გოგონები დადიოდნენ სკოლაში შინდისფერი კაბებით, მკერდზე შავ-თეთრი ემბლემებით, ხოლო ვაუები—შავი შარვლებით, თეთრი პერანგებითა და შინდისფერი პიჯაკებით.

ყოველი თვის ბოლო პარასკევი კლასსაათის ჩატარების დღეა. ცხოველი ინტერესი და აზრთა გაზიარება გამოიწვია ჩვენს მიერ ჩატარებულმა კლასსაათებმა თემებზე: „რას ნიშნავს იყო აღზრდილი ადამიანი?, „როგორც უფალი, სამშობლო ერთია ქვეყანაზედა“, „ლეჩხუმის ეკოლოგიური პრობლემები და მოსწავლე ახალგაზრდობა“, „რა არის საჭირო იმისათვის, რომ უფრო ლამაზი, მეგობრული, შინაარსიანი იყოს ჩვენი კლასის გოგონებისა და ვაუების ურთიერთობა?“

ჩვენ ვცდილობთ გეგმაზომიერად წარვმართოთ თავისუფალი დროის ორგანიზაცია. ჩვენი კლასის მოსწავლეებს, მახსოვლებლებს არასოდეს დაგვავიწყდება ექსკურსია სათაფლიასა და გელათში, რომელიც დაემთხვა იმერეთის მეფის სოლომონ მეორის დაკრძალვის დღეს. მარტის თვეში ვემზადებით ორბელის ციხეზე ლაშქრობისა და ლიტერატურული საღამოსათვის: „ბებერ ქვებში ღაღადებენ საქმენი საგმირონი“. საერთოდ, ჩვენი ერთობლივი სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ქვაკუთხედია დევიზი—„მამული, ენა სარწმუნოება“.

„სკოლა ერთსა და იმავე დროს უნდა წვრთნიდეს კიდეც ბავშვსა და ასწავლიდეს კიდეც. წვრთნა და სწავლა ხელიხელგადაბმული უნდა ვიდოდეს სკოლაში“— ბრძანებდა დიდი ილია და მიმაჩნია, რომ ეს სიტყვები მუშაობის ორიენტირად უნდა გავიხადოთ ყველამ, ვისაც მოზარდის ხვალინდელი დღე აფიქრებს და მასზე პასუხისმგებლობა სიხლხორცეულ საქმედ მიაჩნია.

მზია ბურჯალიანი,
ორბელის საშუალო სკოლის მე-6 კლასის ხელმძღვანელი.

„საქაგროიმპექსი“: თავისუფალი არჩევანის უფლება

გამოთქმა — „წიწილებს შემოდგომაზე ითვლიანო“, ყველაზე კარგად ესადაგება სავაჭრო შეთანხმების არსს, რომელიც ხელმოწერილია სამეურნეოანგარიშიან საგარეოეკონომიკურ გაერთიანება „საქაგროიმპექსსა“ და ამერიკის ფირმა „ინდიან რივერ ინტერნეიშნლის“ წარმომადგენელთა შორის. ოკეანისგაღმელმა პარტნიორებმა იკისრეს საქართველოს მიაწოდონ ბროილერის ჯიშის ქათმის ათი ათასი ინკუბაციური კვერცხი. იმ შემთხვევაში, თუ წიწილები ჯანმრთელი გამოიჩეკება და მთლიანად იქნება აკლიმატიზებული, ფირმასთან დაიდება ხელშეკრულება ერთობლივი საწარმოს შექმნის თაობაზე. ეს საგარეო ვაჭრობის დარგში გაერთიანების ნაყოფიერი თანამშრომლობის ერთ-ერთი მაგალითია.

გაერთიანებასთან შექმნილია საწარმოო-კომერციული ასოციაცია „ფესვები“.

სულ ერთი წელია, რაც „საქაგროიმპექსი“ არსებობს. მუშაობის მექანიზმი ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, თუმცა ზოგიერთ რამეს მაინც მივაღწიეთ. შარშან გავაფორმეთ ცამეტი კონტრაქტი და ორმოცდაათამდე ოქმი. ისინი ითვალისწინებენ როგორც საიმპორტო-საექსპორტო ოპერაციებს, ისე რესპუბლიკის ტერიტორიაზე და საზღვარგარეთ ერთობლივ საწარმოთა შექმნას.

კონტრაქტების „გეოგრაფია“ საკმაოდ ფართოა. შარშან ზაფხულში გრძელვადიანი ხელშეკრულება დავდეთ პოლონეთის საგარეო-სავაჭრო გაერთიანება „პოლკოოპთან“. ყოველწლიურად რესპუბლიკაში 10 ათასი ტონა კარტოფილის შემოტანის თაობაზე შედეგმაც არ დააყოვნა. უკვე შემოდგომაზე საქართველოში 14 ათასი ტონა პირველხარისხოვანი კარტოფილი შემოვიდა.

იმავე დროს დავდეთ კონტრაქტები ბულგარეთის აგრარულ-სამრეწველო კომპლექსთან „ბელასიცასთან“ და სამეურნეო კომბინატ „ბოლგარცვეტთან“ 62,5 ათასი კივის ნერგის შემოტანის თაობაზე. მის ნაყოფს მეტად მაღალი ფასი აქვს მსოფლიო ბაზარზე—კილოგრამი 5-6 დოლარი ღირს.

მთავრდება მოლაპარაკება ამერიკის ფირმა „აუტრიჩ ინტერნეიშლთან“ ერთობლივი საწარმოს შექმნისათვის. ოკეანისგაღმელმა პარტნიორებმა შემოგვთავაზეს პერსპექტიული მეცნიერული პროგრამა მეცხოველეობის დაჩქარებული განვითარების თაობაზე. ვარაუდობენ, კერძოდ, ადგილობრივი ჯიშის ძროხებში ამერიკული ძროხისგან ემბროიონების ტრანსპლანტაციას. სპეციალისტების პროგნოზით რესპუბლიკის მეურნეობებში ნაწველი ახლანდელი 2,5 ათასი ლიტრიდან ცხრა ათას ლიტრამდე გაიზრდება, ხოლო მსხვილფეხა რქოსანი საქონლის წონა ათი თვის განმავლობაში 635 კილოგრამს გადააჭარბებს.

დადებულია ხელშეკრულება ავსტრალიაში კონიაკის მიწოდების, საფრანგეთში—მუხის კასრების, უნგრეთში—შამპანურის, პოლონეთში კი ღვინის მოწოდების თაობაზე.

ხელმოწერილია შეთანხმება გაერთიანება „როსინვალიუტტორგთან“ ყოველთვიურად მოსკოვის „ბერიოზკას“ - სისტემის მაღაზიებისათვის საქართველოს სახაგრომრეწვის პროდუქციის მიწოდების შესახებ.

საინფორმაციო სააგენტო „საქართველო“

გრიპი

გრიპი მწვავე ვირუსული დაავადებაა, მას ახასიათებს მწვავე დასაწყისი, ცხელება, ზოგადი ინტოქსიკაცია და რესპირატორული ტრაქტის დაზიანება.

გრიპის ეპიდემიის შესახებ პირველი მონაცემები არის უძველესი დროიდან. მე-19 საუკუნის ბოლოდან მსოფლიომ გადაიტანა გრიპის 4 პანდემია — 1889-1890, 1918-1920, 1957-1959 და 1968-1969. 1918-1920 წლების პანდემია, რომელმაც 20 მილიონი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა ცნობილია ისპანკას სახელწოდებით. 1957-1959 წლების პანდემიის მსხვერპლი გახდა 1 მილიონი ადამიანი. პანდემიებს შორის 2-3 წლიანი ინტერვალით აღირიცხება გრიპის ეპიდემიები ავადობისა და სიკვდილიანობის შედარებით დაბალი მაჩვენებლით.

გრიპის ვირუსული ეტიოლოგია დადგინდა 1933 წელს. **საერთაშორისო** კლასიფიკაციით გამოყოფენ A, Б, C ჯგუფის გრიპის ვირუსს, უკანასკნელი ორისათვის დამახასიათებელი ისაა, რომ შედარებით სტაბილურები არიან, ხოლო A ჯგუფის ვირუსი კი ადვილად იცვლის ანტიგენურ სტრუქტურას, რითაც აიხსნება იმუნური ფენის **შექმნის სიძნელე.**

გრიპის ვირუსი ნაკლებად მდგრადია გარემოში. ის კარგად იტანს დაბალ, უარყოფით ტემპერატურას, ადვილად იხოცებიან გახურებითა და დუღილით, მგრძნობიარეა ულტრაიისფერი სხივების და სადეზინფექციო ხსნარების მიმართ.

ინფექციის წყაროა დაავადებული ადამიანი, რომელიც განსაკუთრებით საშიშია გარშემო მყოფთათვის დაავადების პირველ დღეებში, როცა ხველების, დაცემინების და ლაპარაკის დროს გამოყოფს ვირუსს ინტენსიურად გარემოში.

შედარებით სენშეუვალი გრიპის მიმართ არიან ბავშვები 6 თვის ასაკამდე, რადგანაც მათ აქვთ იმუნიტეტი გადმოცემული დედისაგან.

გრიპს მიმდინარეობის მიხედვით განარჩევენ მსუბუქ, საშუალო სიმძიმის, მძიმე მიმდინარეობის, გამოყოფენ დაავადების ელვისებურ ფორმას.

ტიპიური მიმდინარეობის დროს დაავადება მწვავედ, შემცივნებით, თავის ტკივილით მიმდინარეობს. რამდენიმე საათში სხეულის ტემპერატურა აღწევს მაქსიმუმს (38,5-40 გრადუსს), ვითარდება მოთენთილობა, ტკივილი კუნთებში, მსხვილ სახსრებში, თავის ტკივილი ძლიერდება, შეიძლება აღინიშნებოდეს თავბრუსხვევა, ღებინება, მადის დაქვეითება.

პირველ დღეებში ავადმყოფი უჩივის პირის სიმშრალეს. 2-3 დღეში ვითარდება ხველა და მცირე სურდო, ხოლო 3-4 დღის შემდეგ ხდება სველი. გაურთულებელი მიმდინარეობის დროს ცხელების პერიოდი გრძელდება 1-6 დღე „ა“ -ს დროს „ბ“-ს დროს რამდენადმე მეტხანს.

გამოჯანმრთელება ხდება ტემპერატურის ნორმალიზაციიდან 1-2 კვირაში. დაბალი ასაკის ბავშვებში დაავადება მიმდინარეობს მძიმედ და შეიძლება გართულდეს კრუპით.

გრიპის გართულებებიდან აღსანიშნავია: პნევმონია, რინიტი, ფარინგიტი, ლარინგიტი, ტრახეობრონხიტი, ანგინა, ჰაიმორიტი, ფრონტიტი, ოტიტი და ა. შ.

გრიპის მკურნალობაში აღსანიშნავია, რომ ის უნდა მიმდინარეობდეს ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ და წოლითი რეჟიმის მკაცრი დაცვით.

გრიპის პროფილაქტიკისათვის შოწოდებულია ვაქცინაცია. პროფილაქტიკის მიზნით გამოიყენება ინტერფერონი, სტიმულიატორები.

ექსტრა პროფილაქტიკის მიზნით გამოიყენება ოქსალინის მაზი, ლოკალიტარული ინტერფერონი, რემანტადინი, ამავე მიზნით ზოგჯერ გამოიყენება დონორისა და პლაცენტარული გამა გლობულინი.

სადაც ავადმყოფია მოთავსებული, ის ოთახი უნდა ნიავდებოდეს, ლაგდებოდეს სველი წესით, სადეზინფექციო ხსნარების გამოყენებით.

ი. კოპალიანი,
რაიასანეპიდსადგურის ექიმი-ეპიდემიოლოგი.

ჩვენ გვწერენ

კეთილსინდისიერი შრომით

სოფელი მახაში, სადაც 195 ოჯახი ცხოვრობს, გაყოფილია ოთხ უბნად. უკვე მეორე წელია ამ უბნების, როგორც საფოსტო გზავნილებათა დამტარებელი ემსახურება ამავე სოფლის მკვიდრი ექვსი შვილის მშობელი და აღმზრდელი სონია გალაქტიონის ასული კენჭაძე.

ქალბატონმა სონიამ იცის, თუ როგორი მოლოდინით ელიან სოფლის მკვიდრნი ჟურნალ-გაზეთებს და დროულად ჩააბარებს ხოლმე ყველას უკლებლივ მათ კუთვნილ ჟურნალ-გაზეთებს, წერილებს, ამანათებს, ამიტომაცაა, რომ სოფლის მცხოვრებნი დიდად აფასებენ მის შრომას.

მსურს ამ წერილით გამოვხატო ომისა და შრომის ვეტერანების ის მადლიერება, რასაც ხშირად გამოხატავენ ქალბატონი სონიას მიმართ.

ვალერიან ჯამგურიძე.

რედაქტორი
ნ. ნემსაძე.

გილოცავთ

**იზო გოგოხიძეს
ბახვა კოპალიანს**

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს სასახელო ვაჟკაცი.

იზო და ვაჟა კვენეტაძეები.

ლუბა, კუკური ასათიანებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. კიდევ მრავალი სიხარული განახოთ ცხოვრებაში.

როზეტა ქვარიანი, გია დაშნიანი.

დოდო და ამბერკი ცვარიანებს

გილოცავთ ნანას ბედნიერებას. სიყვარული და სიხარული ყოფილიყოს მათი ცხოვრების თანამგზავრი. შეექმნათ ნამდვილი ქართული ოჯახი.

ცაგერის №2 ბაგა-ბაღის კოლექტივი.

**ბადრი, სოფო ჟოხონელიძეებს
ნიურა, კაკო ჟოხონელიძეებს**

გილოცავთ ქალიშვილისა და შვილიშვილის შეძენას. გაგეზარდოთ ერის სასახელო შვილი.

ლავროსი ჭაბუკიანი ოჯახით.

იზო, ბახვა კოპალიანებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. გაზრდილიყოს სასახელო მამულიშვილი. კვლავ მრავალ სიხარულს შეევსოს თქვენი ოჯახის ფუძე-ჭერი. ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი შვილების მფარველი.

ვახტანგ ომანაძე ოჯახით.

თამაზ, ფოთოლა სვანიძეებს

გილოცავთ შვილების — გოჩასა და სოფოს ბედნიერებას. მათი სიხარულით, გამრავლებით, კარგქართველობით გეცოცხლოთ და გეამაყოთ!

რაფიელ კოპალიანი ოჯახით.

**ნანა, გოგი გოლეთიანებს
იზო, ბახვა კოპალიანებს**

გილოცავთ შვილისა და შვილიშვილის შეძენას. ბედნიერი და სიხარულით სავსე ყოფილიყოს მისი ცხოვრების გზა.

ნინო და ნუკრი სალინაძეები, თაილი და ვალერი მუშკუდიანები.

**ნანი აქვსენტის ასულ ქარსელაძეს
რამინ ბიქტორის ძე ქარსელაძეს**

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ყოველივე კარგს ცხოვრებაში.

თაბორის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი და ტექნიკური პერსონალი.

**იზო და ბახვა კოპალიანებს
როზა გოლეთიანს**

გილოცავთ შვილიშვილისა და ძმისშვილის შეძენას. სასახელო ვაჟკაცი აღზრდილიყოს. კიდევ მრავალი სიხარული მოგვწრებოდეთ.

ცაგერის № 2 ბაგა-ბაღის კოლექტივი.

**იზო გრიგოლის ასულ გოგოხიძეს
ბახვა იონას ძე კოპალიანს**

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას, სიხარული, სიკეთე და ბედნიერება ნუ მოკლებოდეს თქვენს ლამაზ ოჯახს.

გრიშა, ლამარა ჩიქოვანები, ზაურ, ლედი ბენიძეები.

ნიურა, კაკო ჟოხონელიძეებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას, გაზრდილიყოს ერის სასახელო შვილი, შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

ალპანის დარგობრივი სავაჭრო გაერთიანების თანამშრომლები.

იზო, ბახვა კოპალიანებს

გილოცავთ შვილიშვილის შეძენას. კიდევ მრავალი შეგმატოთ ღმერთმა.

ნინელი, ტუკა ჩხეტიანები, სოფო, სოსო მუშკუდიანები.

**ლელა მეშველიანს
გია ფუტკარაძეს**

გილოცავთ ვაჟის შეძენას. აღზრდილიყოს ღირსეული ქართველი. შემატებოდეს მრავალი და-ძმა.

ფეფენა ფუტკარაძე, ნაირა, გრიგოლ სალინაძეები ოჯახით.

გილოცავთ ახალდაქორწინებულებს!

**მანანა ჭილვარიას
ნუგზარ ჭაგუკიანს**

გილოცავთ ბედნიერებას. შეგექმნათ ფუძემტკიცე ოჯახი. სიხარული, სიყვარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების მეგზური.

ჩხუტელის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი.

**მზია არდევანის ასულ ონიანს
ამირან ნიკოს ძე მიქაძეს**

გილოცავთ ბედნიერებას. ულევი სიყვარული და სიხარული ყოფილიყოს თქვენი ცხოვრების თანამგზავრი.

იზოლდა ჩაკვეტაძე, მურთაზ ახვლედიანი.

მეუღლე გენო ირემაძე, შვილები მამუკა, ხათუნა, ძმა გურამი, რძალი ციალა იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლიანა არტემის ასული მამარდაშვილი-ირემაძე.

დაკრძალვა 2 მარტს, შაბათს, ქ. ქუთაისში. გამოსვენება ყაზბეგის ქ. მე-5 შესახვევის №28-დან.

შურა, ნუშარ ლეთოდიანები, ბაბი გოგიძე, სამსონ, შირმან, გივი, ანზორ მღივნები ოჯახებით თანაუგრძნობენ დოდო, ოთარ ლიპარტელიანებს მამისა და სიმამრის

ვლადიმერ სალინაძის

გარდაცვალების გამო.

ზუბის საშუალო სკოლის IV და V კლასების მოსწავლეები თანაუგრძნობენ ნონა, ალეკო ჩაკვეტაძეებს ბებიის

ნინა ჩაკვეტაძის

გარდაცვალების გამო.

თენგიზ ახვლედიანი, მამუკა ბენდელიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ნათლული

ნათია ფანჯავიძე.

დეხვირის არასრული საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს დოდო მეიფარიანს ძმის

ევნედი მუშკუდიანის

გარდაცვალების გამო.

სარა, ვლადიმერ ირემაძეები თანაუგრძნობენ გენო ირემაძეს მეუღლის

ლიანას

გარდაცვალების გამო.

ცაგერის საშუალო სკოლის I-ა კლასის მოსწავლეები, მშობლები და კლასის ხელმძღვანელი ნინო შკუბულიანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა I-ბ კლასის მოსწავლე

ნათია ხვიჩას ასული ფანჯავიძე.

სარდიონ ფუტკარაძე, გია კოპალიანი, სოსო ჩაკვეტაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათია ხვიჩას ასული ფანჯავიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ორბელის საბავშვო ბაღის თანამშრომლები თანაუგრძნობენ დოდო ბურჯალიანს დეიდაშვილის

ავთო ხუციძის

გარდაცვალების გამო.

ბაბუა ჭიჭიკო, ბებია ნინელი, დეიდები მალვინა, მაყვალა, მალედი, მანანა, ბიძები სოზარ ჩორგოლიანი, მურმან სილაგაძე, გენადი ახვლედიანი, დეიდაშვილები, ბიძაშვილები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათია ფანჯავიძე

შარდენ გუგავა, ეთერ გოლეთიანი, ტრისტან სოხაძე, ვლადიმერ ხეცურიანი, ვალიკო, პიმენ მურცხვალაძეები, ნინა ახვლედიანი, ალიოშა ბრეგვაძე, ჯემალ სალინაძე, გოგი ახვლედიანი, ჯაბუ ხეცურიანი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათია ხვიჩას ასული ფანჯავიძე.

ორბელის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეები და კლასის ხელმძღვანელი თამარ ჩაჩხიანი თანაუგრძნობენ პაატა ბურჯალიანს ბიძის

თენგიზ ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

ვლადიმერ ჩაჩხიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ნათია ხვიჩას ასული ფანჯავიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ოყურეშის საშუალო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი თანაუგრძნობს ნოდარ მუშკუდიანს ბიძაშვილის

ევლოგი მუშკუდიანის

გარდაცვალების გამო.

ოთარ ყურაშვილი, ლერი სალინაძე, მურმან, იური კაჭკაჭაშვილები, დავით დავითულიანი, რომან ტვილდიანი, ამირან მაისურაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათია ხვიჩას ასული ფანჯავიძე.

უახლოესი მეზობლები გურამი, ჯანსულ, ჯონი ჩორგოლიანები, გური გოქაძე, შოთა ბუაძე, მურთაზ, ჯაბო ჩაჩხიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ თამარ და შალიკო ჩაჩხიანებს დედისა და სიდედრის

ვასასი ისიანის

გარდაცვალების გამო.

უახლოესი მეზობლები გურამ, შიო, ნოდარ, ტრისტან, გოჩა, ვარლამ, ჯუმბერ, ემზარ, იგორ, ჩაკვეტაძეები, თემურ ჩალაძე, ბიჭიკო თუთისანი, მურმან ომანაძე ოჯახებით იუწყებიან

ნინა როსტომის ასული ჩაკვეტაძის

გარდაცვალებას.

ენერგოგასაღების თანამშრომლები თანაუგრძნობენ გურამ არტემის ძე მამარდაშვილს დის

ლია არტემის ასული მამარდაშვილი-ირემაძის

გარდაცვალების გამო.

შერაგ ჯიაძე ოჯახით თანაუგრძნობს თამაზ, ლევან, მანანა, ნინო მუშკუდიანებს ბიძის

ლევან ნემსაძის

გარდაცვალების გამო.

სეით, ვილიამ ყურაშვილები ოჯახებით იუწყებიან

იაგო გივის ძე ბურჯალიანის

გარდაცვალებას.

უახლოესი მეზობლები გურამ, ჯიუ, ოთარ ლეშკაშელები, მალხაზ ლვინიაშვილი, ზაურ ჩიქოვანი, თემურ ჩაჩხიანი, ამირან გოდერიძე, თამაზ ყვირილიანი ოჯახებით თანაუგრძნობენ ხვიჩა, მარინე ფანჯავიძეებს, ჭიჭიკო, ლერი ჩაჩხიანებს შვილისა და შვილიშვილის

ნათია ფანჯავიძის

გარდაცვალების გამო.

ცაგერის ვეტლაბორატორიის თანამშრომლები თანაუგრძნობენ ანზორ კოპალიანის ოჯახს

იაგო ბურჯალიანის

გარდაცვალების გამო.

გრიგოლ ვლადიმერის ძე ბენდელიანი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ნათია ხვიჩას ასული ფანჯავიძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

უახლოესი მეზობლები გურამ დავითულიანი, კაკო ლიპარტელიანი, ლერი ტვილდიანი, მურთაზ, ჯემალ კოპალიანები, გრიშა ჩიქოვანი, რაიბულ ჩარკვიანი, ბუდუ ომანაძე, ლალაკო მინდაძე, გურამ მეგრელი, ქენია მურცხვალაძე ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნათია ხვიჩას ასული ფანჯავიძე.

ცაგერის საშუალო სკოლის კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე სკოლის I კლასის მოსწავლე

ნათია ხვიჩას ასული ფანჯავიძე.

ცაგერის საშუალო სკოლის I-ბ კლასის მოსწავლეები, კლასის ხელმძღვანელი დოდო ხვადაგიანი, გახანგრძლივებული ჯგუფის მასწავლებელი ქეთო ონიანი და მოსწავლეთა მშობლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ამავე კლასის მოსწავლე

ნათია ხვიჩას ასული ფანჯავიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ოყურეშის საშუალო სკოლის 1958 წლის კურსდამთავრებულები შალვა უგრეხელიძე, დიდიმე ყურაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ლიანა არტემის ასული მამარდაშვილი

ცაგერის საგზაო სამმართველოს თანამშრომლები თანაუგრძნობენ ნათელა ხეცურიანს, ნონა ფანჯავიძეს შვილიშვილისა და ძმისშვილის

ნათია ხვიჩას ასული ფანჯავიძის

გარდაცვალების გამო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის ქუთაისის პოლიგრაფიული გაერთიანების ცაგერის სტამბა.